

რუსუდან ჩოლოყაშვილი

ზღაპარი და ბავშვი

ზღაპარი უძველესი ხალხური ნაწარმოებია და ის გარდასულ სინამდვილეს ასახავს. თუ მართლაც ასეა, ტერმინი „ზღაპარი“ ტყუილის მნიშვნელობასაც რატომ ითავსებს სხვადასხვა ხალხებში? ის ტყუილია მითთან შედარებით. მითში გადმოცემულია უძველესი რწმენით აღქმული სამყარო, უშუალოდ, ყოველგვარი გადამუშავების გარეშე, სინამდვილე, რომელსაც უძველესი ადამიანი რელიგიურად მიიჩნევს. მითი აზროვნების ფორმაა და არა მხატვრული გადამუშავების შედეგი. ზღაპარი კი უკვე მხატვრული შემოქმედების ნაყოფია, მისი შექმნის მომენტისთვის მთქმელმა უკვე იცის, რომ მითით გადმოცემული სინამდვილე, გარდასული სინამდვილეა, რომლის რეალობისაც ზღაპრის მთქმელს აღარ სჯერა. მისთვის ყოველივე ეს უკვე ტყუილია, მაგრამ მშვენივრად იყენებს მხატვრული ნაწარმოების შესაქმნელად. მითით ფრაგმენტულად აღქმული სამყარო აქ გადამუშავებულია და მთლიან ნაწარმოებად შეკრული. მთქმელისთვის ზღაპარი დღევანდელი კი არა, გარდასული სინამდვილეა და ამიტომაც აქ მოთხრობილის თაობაზე თვითონვე ამბობს: „იყო და არა იყო რა“-ო.

ზღაპარში ასახულია ცხოვრებისეული კანონზომიერებით გამოწვეული ურთიერთდაპირისპირებანი, რასაც რეალურად ჰქონდა ადგილი უძველესი ადამიანის არსებობისთვის ბრძოლისას. ცხოველთა ზღაპრის პერსონაჟები, ერთმანეთს საკვებისთვის უპირისპირდებიან და მათ შორის ურთიერთობა, მართლაც რომ მკაცრია და დაუნდობელი. აქ ხშირად მოკვლის შემდეგაც არ ინდობს ზღაპარი დაღუპულ პერსონაჟს და მასხარადაც იგდებს. ჯადოსნურ ზღაპარში კი სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირება უკვე დადებით და უარყოფით გმირებს შორის ხდება და, ამდენად, უკვე მორალურ გააზრებას იძენს. გარდა ამისა, აქ დადებითი გმირისთვის წარმატების მიღწევა უფრო რთულია, ვიდრე ცხოველთა შესახებ ზღაპრებში. ჯადოსნური ზღაპრის გმირი საბოლოო გამარჯვებამდე თვითონაც განიცდის რამდენიმე მარცხს. ასე რომ აქ უკვე ბრძოლა თავდაცვითი ხასიათისაა, ან ასულის, უმეტესად საცოლის დასახსნელად ხდება. ნოველისტური ზღაპრის გმირი კი ქონების საშოვნელად იბრძვის. აქ უკვე მეტოქის მოკვლის გარეშე გადის ფონს, თუმცა სიკვდილს ბევრს არც არაფერს დააკლებს ხოლმე. მართალია, აქ ასახული სინამდვილე მკაცრია, მაგრამ აუცილებლობით განპირობებული, რამეთუ დამარცხებული რწმენის ორგულია, გამარჯვებული კი სასურველი, სარწმუნოების ყველა

სიკეთის მატარებელი, ე.ი. ამ დაპირისპირების გამარჯვება ხალხისთვის სასურველიც იყო და ეთიკურიც. ამასთანავე ოცდამეერთე საუკუნის კარიბჭესთან მდგომი ადამიანის მორალისგან აბსოლუტურად განსხვავდებოდა ათასწლეულთა წინანდელი ადამიანის მორალი.

ყოველივე ზემოთ თქმულის გამო ბავშვს ზღაპარი არ ვუამბოთ – იგივეა, რომ არ ვაჩვენოთ ბალახის თიბვა, მოსაველის აღება, არ გავაგებინოთ, რომ არსებობს უძველესი პროფესია – ნადირობა და ა.შ. სწორედ ბავშვობაში და სწორედ ზღაპრით უნდა გაიგოს მან ყველაფერი ეს, რადგან ამ პერიოდში და ამ ფორმით მიწოდებული სიმართლე ქვეშეცნეულად არწმუნებს მას კანონზომიერებაში.

ბავშვის აზროვნების განვითარებამ ფსიქოლოგები იმ აზრამდე მიიყვანა, რომ როგორც მისი ფიზიკური განვითარება იმეორებს თავისი წინაპრის ისტორიული განვითარების ეტაპებს, ისე მისი აზროვნების განვითარებაც იმეორებს ფილოგენეზის განვითარების ეტაპებს (გ.ბაქრაძე), ე.ი. ბავშვის აზროვნება მოკლე დროში გაივლის სამყაროს შეცნობის ყველა იმ ეტაპს, რაც კაცობრიობის აზროვნებამ უკვე განვლო. აქედან გამომდინარე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ბავშვი სამყაროს აღქმისას ამჟღავნებს საერთოს უძველესი ადამიანის მიერ სამყაროს ხედვასთან, ისე როგორც კაცობრიობამ თანდათანობით მიაღწია სამყაროს შეცნობის დღევანდელ დონეს (უძველესი ადამიანი თავს თვლიდა ჯერ ბუნების განუყოფელ ნაწილად, შემდგომ გამოეყო, ბოლოს კი გაბატონდა მასზე). შეცნობის თვალსაზრისით ასეთ გზას გადის ადამიანიც ბავშვობის ასაკიდან ზრდასრულობამდე.

პირველი ნაწარმოები, რომელშიც სამყაროს უძველესი ხედვა აისახა, იყო ზღაპარი, და მისი მრავალფეროვნებაც განპირობებული იყო იმ ცვლილებებით, რაც განიცადა ადამიანის სამყაროსადმი დამოკიდებულებამ. კაცობრიობის განვითარების ისტორიაში მომხდარ ცვლილებებს თან ახლდა მსოფლმხედველობრივი ცვლილებებიც ადამიანის აზროვნებაში, რაც თავისებურ ასახვას ზღაპარშიც პოულობდა. რადგან ბავშვის მიერ სამყაროს ცალკეული ეტაპები მეტ-ნაკლებად ემთხვევა კაცობრიობის მიერ სამყაროს შეცნობის საუკუნოვან ეტაპებს, ბავშვისთვის ზღაპარი ორგანულია და სისხლხორცეული. ზღაპრის შემქმნელი ადამიანის აზროვნებასა და მისი შემეცნებული ბავშვის აზროვნების თავისებურებებთან სწორედ ეს თანხვედრა განაპირობებს ბავშვის დიდ ლტოლვას ზღაპრისადმი. არადა ამ ზღაპრისა უფროსებს სპეციალური ძალისხმევის გარეშე დღეს ბევრი არაფერი გვესმის.

გარდა იმისა, რომ თანამედროვე ადამიანი სამყაროს შეცნობის თვალსაზრისით ძალიან დაშორდა თავის უძველეს წინაპარს, მის ზოგიერთ წარმომადგენელს ბავშვისადაც არ ესმის კარგად და ვეღარ

გრძნობს სიკეთეს, რისი მოცემაც ზღაპარს შეუძლია. პირადი საუბრებისას დღეს ჩვენს საზოგადოებაში არც თუ იშვიათად გაიგონებთ აუგს ზღაპრის შესახებ, ტელევიზიითაც არაეთხელ მოგვისმენია, რომ მათი უმეტესობა ბავშვის ფსიქიკაზე უარყოფითად მოქმედებს და ისინი საერთოდ არ უნდა გაგაცნოთ მას; უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ სათანადო გადაკეთების შემდეგ შეიძლება მისი მიწოდება ბავშვისთვის. ამის თაობაზე დაიწერა, აღინიშნა კიდევ, რომ შესაცვლელია ზღაპრის ფორმა, ზომა და ენა (ე. დადუნაშვილი). როგორც ასეთ დროს იტყვიან ხოლმე, კომენტარი ზედმეტია, ე.ი. თანამედროვე მოზარდთა უკიდურესი აღზნება და დაძაბულობა ზღაპარს მიეწერება. ზღაპარში ასახული სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირებები ძაბავს ბავშვის ნერვულ სისტემას და „გაირკვა“, რომ ზღაპრის მოყოლას ბავშვისთვის დადებითი შედეგი „არ მოსდევს“. ჩვენში საყვედური ძირითადად ქართული ზღაპრების მიმართ ისმის, რადგან არ იციან, რომ ზღაპარი საერთაშორისო მოვლენაა ტიპობრივი სიუჟეტებითა და მოტივებით. ქართული ზღაპრის „ნაკლი“ მხოლოდ ის არის, რომ ევროპულ ხალხთა ზღაპრებთან შედარებით უფრო ძველია, ღრმა და მდიდარი.

დღეს მსოფლიოს, ბუნებრივია, აწუხებს ემოციურად გადატვირთული და დაძაბული ახალი თაობის ხილვა და ეძებს აქედან თავის დაღწევის საშუალებებს. მაგრამ ზღაპართან დაპირისპირება ამ აზრით ნამდვილად გაუმართლებელია. ყოველივე ეს არის ზღაპრის არსში გაურკვეველობის შედეგი. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ტრადიციულ ზღაპარს ბავშვზე მხოლოდ დადებითი ზემოქმედების მოხდენა შეუძლია. მისთვის ზღაპარი მხოლოდ მაკროსამყაროს შეცნობის საშუალება არ არის, ის ფანტაზიის განვითარებასაც უწყობს ხელს, მხატვრულ აზროვნებას, ესთეტიკურ გრძნობას აყალიბებს. ზნეობრივს ხდის ბავშვს და სიმშვიდის გრძნობას ჰგვრის. ზღაპრის მნიშვნელობას მშვენიერი წერილი უძღვნა ფ. ზანდუკელმა – „ბავშვი და ზღაპარი“, რომელიც დაისტამბა ჟურნალ „ომეგა“-ს მეექვსე ნომერში. ზღაპარი აქ განხილულია როგორც იდეური თვალსაზრისით ამაღლებული ნაწარმოები; როგორც ბავშვის ესთეტიკური და ეთიკური აღზრდის საშუალება, სადაც სიკეთე იმარჯვებს ბოროტებაზე; ჩანს მოყვასისადმი თავდადება და სხვა. აქ განხილულია აგრეთვე ზღაპარი როგორც ნაწარმოები, რომელიც აჩვენებს ბავშვს აზრის ლოგიკურად გამოცემას, ხატოვან მეტყველებას, მშვენიერებისაკენ ლტოლვას. იყო დრო, ყოველივე ამას ახსნა არ სჭირდებოდა, რადგანაც ინტუიციით ვგრძნობდით. ვგრძნობდით იმასაც, რომ ზღაპარი საკრალური ნაწარმოებია – დაფარული აზრის შემცვლელი და გააჩნია საკუთარი რიტმი, რაც დადებით ზემოქმედებას ახდენს ბავშვის ფსიქიკაზე, ამასთან ბავშვს რწმენის ერთგულებას აჩვენებს.

ახლა კი მოკლედ შევეცდები აეხსნა ზღაპრის, ბავშვისთვის შემეცნების წყაროსა და სიმშვიდის მომგვრელი ნაწარმოების სასიკეთო მნიშვნელობა. ზღაპარი ხშირად იმაში გვეხმარება, რომ ბავშვმა გაუღიზიანებლად შეიცნოს მკაცრი სამყარო. მას ეს სინამდვილე რომ დავუმალოთ, მისი სინჯარაში გაზრდა გამოგვივა. დღეს ევროპულ მეცნიერებაში მიჩნეულია, რომ ზღაპრის მეშვეობით ბავშვი სტრესებს ეჩვევა. ეს მართალია, მაგრამ აქ მთავარი მაინც სამყაროს რთული რეალობის სწორად აღქმაა, რასაც, ბუნებრივია, შეჩვევაც მოსდევს. ე.ი. მთავარი მაინც სინამდვილის, მისი კანონზომიერების შეცნობაა, რისი ერთ-ერთი შედეგი სტრესებთან შეჩვევაც არის. აქვე აუცილებლად ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზღაპარი მრავალპლანიანი ნაწარმოებია და მასში სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი განზომილებებიც არსებობს.

ზღაპარში მოთხრობილი გამარჯვება მუდამ იმედს – მომავლის რწმენას უნერგავდა მსმენელს, შიშის მომგვრელ გრძნობას ჰმატებდა და სულიერ სიმშვიდეს ჰგვრიდა. თუნდაც ცხოველთა შესახებ ზღაპრებში აღწერილ დაუნდობელ დაპირისპირებებში ხომ მუდამ სუსტი იმარჯვებს ძლიერზე მოხერხების, გონების ძალით. აქ გონების ზეიმია. მაგალითად, ძელა თავისზე ძლიერ ნადირებს ყოველთვის ამარცხებს, სუსტ ფრინველებთან კი თვითონ მარცხდება. ჩვენს ეპოქაში ამ ნაწარმოებს სწორედ მხოლოდ ბავშვი აღიქვამს და ბავშვის სასურველი გმირის გამარჯვებით იგივე გრძნობა ეუფლება, რაც მის უძველეს წინაპარს. ეს არის საკუთარი შესაძლებლობების რწმენა, მომავლის იმედი და შესაბამისად – სულიერი სიმშვიდე. ბავშვი ზღაპრის გმირში არათუ სასურველ არსებას ხედავს, არამედ ამ სახეში საკუთარ თავს იაზრებს და იოლად გასაგებია, რაოდენ ამადლებულ გრძნობას ჰგვრის საკუთარი მშვენიერებისა და ძალმოსილების შეგრძნება. ფსიქოანალიტიკოსების დასკვნით ხომ მამად წოდებული ღმერთი – შემოქმედი, ადამიანის წარმოსახვაში გაიაზრებოდა როგორც ნამდვილი მამა – ისეთივე გრანდიოზული და მფარველი, როგორაც მას უმწეო ბავშვი მიიჩნევს. ამდენად, ზღაპრის უფლისწულში – ხელმწიფის ასულსა თუ ვაჟში საკუთარ თავს იაზრებდეს ბავშვი – სულაც არ არის გასაკვირი.

უძველეს დროში კი ცალკეული ტომისა თუ გვარის წარმომადგენლები საკუთარ თავს ზღაპრის გმირებში ხედავდნენ. მაგალითად, ტოტემური რწმენით ესა თუ ის ცხოველი ადამიანებს საკუთარ წინაპრად მიაჩნდათ, რომელშიც აიგივებდნენ კიდევ საკუთარ თავს და ა.შ. მის მიერ მოპოვებული წარმატება ხვალინდელი დღის იმედსა და შვებას ჰგვრიდა მრავალი საშიშროების წინაშე მდგომ ადამიანს. ზღაპარი სიმშვიდესა და საკუთარი თავის რწმენას დღესაც უნერგავს პატარას. ზღაპარში მოთხრობილი მწარე რეალობა შიშველ საშინელებად

მხოლოდ ინტერპრეტირების (რადიო, ფირფიტები, ტელევიზორი) დროს შეიძლება იქცეს, სადაც რეჟისორი თუ მსახიობი მას გარკვეული აქცენტით აწვდის და დგება ბავშვსა და ზღაპარს შორის. ამ უკანასკნელის ლაბირინთებში კი ბავშვი დამოუკიდებლად, ყოველგვარი კომენტარის გარეშე უკეთ ერკვევა. ამიტომ ის უნდა ვუამბოთ მშვიდად და აუღელვებლად, მონოტონურადაც კი. ჩვენ ზღაპრის ინსცენირების აკრძალვას არ მოვითხოვთ, მაგრამ მის შესაქმნელად, უთუოდ, სიღრმისეულად უნდა გავითვალისწინოთ ზღაპრის სპეციფიკა. რაც მთავარია, ბავშვი საკუთარი კოლექტივის ისეთივე განუყოფელი ნაწილია, როგორც ზღაპრის შექმნის ეპოქის ადამიანი, ამიტომ მას ზღაპართან შეხვედრა დამოუკიდებლად, საკუთარი მშობლების თუ სისხლხორცეული ახლობლების გარეშე არ უნდა უხდებოდეს, მსგავსად იმისა როგორც ხდებოდა უძველეს დროში ზღაპართან ზიარება. დიას, ზიარება, რადგან ზღაპარს მუდამ ჰქონდა საკრალური დანიშნულება და განსაკუთრებული რიტუალის ნაწილი იყო. ყველგან და ყოველთვის მისი შესრულება არ შეიძლებოდა და საგანგებო პირობებს მოითხოვდა. გამარჯვებას მან თავისიანებთან ერთად – პირველ რიგში ზღაპრის მოხრობელთან ერთად უნდა მიადწიოს. გაურკვეველ და შეუცნობელ სამყაროში ბავშვის შეყვანა ახლობლის მეშვეობით უნდა მოხდეს. ინსცენირება ზღაპრისა, მით უმეტეს ეკრანიდან მოწოდებული, ზღუდავს ბავშვის ფანტაზიის განვითარებას და მზამზარეულ ფორმებს აჩვენებს. ყოველმხრივ სასურველია ბავშვს ზღაპარს ახლობელი უყვებოდეს, მაგრამ, სამწუხაროდ, აღარ გვცალია ჩვენ თვითონვე ისე გავითავისოთ ზღაპარი, რომ შევძლოთ პატარისთვის მისი მოყოლა.

ნებისმიერი ხელოვნება, მათ შორის ფოლკლორიც, ისტორიული სინამდვილიდან მოდისო – წერდა ვ. პროპი და, რასაკვირველია, ეს ზღაპარსაც ეხება. ზღაპარს თავისი ლოგიკა აქვს. მისდამი ბავშვის ლტოლვის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ბავშვისა და ზღაპრის ლოგიკა, ერთმანეთს უახლოვდება, თუმცა, რასაკვირველია, ამ საკითხებზე საბოლოო სიტყვა ფსიქოლოგებს ეკუთვნით. ადამიანის ფანტაზია ისტორიულად მკაცრად განსაზღვრულია (კ. მეგრელიძე) და სწორედ ეს განაპირობებს ზღაპრის ლოგიკის თავისებურებებს. ადამიანის ფანტაზიაზე გადამწყვეტი მნიშვნელობა მის მსოფლმხედველობას აქვს. მაგალითად, ზღაპრული მოტივი „ცეროდენაში“, როდესაც დედა შვილებს გახურებულ თონეში ჩაყრის, ან ბარტყებს ჩიტი ჩიორა მელიას გადაუყრის, მსგავსად შვილების ზღვაში გადამყრელი მედეასი, გენეტიკურად ინიციაციის რიტუალს უკავშირდება, რომელიც მხოლოდ ბავშვის სასიკეთოდ სრულდება. ადრინდელი ადამიანიც ასევე აღიქვამდა მას. თუმცა თანდათანობით ეს გაგება დაიკარგა. ასევე აქვს გამართლება სწავლი ეთერის დამთმობ აბესალომს „ეთერიანში“,

რადგანაც ის უფლისწული იყო და მისი ოჯახის სიჯანსაღესა და სრულყოფაზე დიდად იყო დამოკიდებული მთელი ქვეყნის გამრავლება და კეთილდღეობა. დღეს კი ეს პერსონაჟი უმწეო არსებად გვეყავს გააზრებული და ზოგი ამ სახეს მურმანსაც კი ამჯობინებს.

ბავშვს რომ სწორად მოქმედის მონათხრობი ზღაპარი უყვარს, მისი ენა და ინტონაცია, ამას გამორჩეული მოქმედებისა და ბავშვების ურთიერთობაც მოწმობს. მაგალითად, ველზე მუშაობის დროს ვინ იცის, მერამდენედ უსმენდნენ პაპა ანდროს – მთელს სოფელში ცნობილ მეზღაპრეს ანდრო ქიტოშვილს სოფ. ქინძათში, ხაშურის რაიონში. მასთან მუშაობა სამი დღე მომიწია და სამჯერვე ბავშვების მთელი ამაღლა თან დაგვეყვებოდა, „ნახირშიც“ გვახლდნენ, მისი ნათქვამი ერთი სიტყვაც რომ არ გამორჩენოდათ. „ანდროს ზღაპრებმა გადაგვატანინა ეს უმუქო ზამთრებიო“, – გვეუბნებოდნენ მისი ყველა თაობის თანასოფლელები 1998 წლის ივლისში იქ მოწყობილი ფოლკლორული ექსპედიციის მუშაობის დროს – „შემასაც ჩვენ მოვიტანთ, ლამფისთვის ნავთსაც, ოღონდ შენ მოგვიყვიო“, და, ისიც უყვებოდა. სწორედ მოქმედის დიალექტიზმებით ზომიერად შემკული ენაა ზღაპრის საერთაშორისო სიუჟეტებს ეროვნულ კოლორიტს რომ უნარჩუნებს, აქაიქ შემორჩენილ ეთნოგრაფიულ სამყაროსთან ერთად. თვითონ ბავშვები რა გატაცებით ყვებიან ზღაპრებს. თუნდაც იმავე სოფელ ქინძათში მშვენიერი ზღაპრები ჩავიწერეთ ბავშვებისგან სწორედ იმ ენით, რომლითაც მოსმენილი აქვთ უფროსებისგან. ეს მხოლოდ იმის დასტურია, რომ ბავშვებს ტრადიციული ზღაპარი იზიდავს. თვით ის ფაქტიც, რომ სერიოზულად არის საუბარი ბავშვისთვის „მისაღები“ ფორმის ხალხური ზღაპრის (მაინცადამაინც ხალხური ზღაპრის) „შექმნაზე“, სწორედ ტრადიციული ზღაპრის გამარჯვებაა. ზღაპრის ყოველი გადამუშავების ცდა, რა ავტორიტეტის ხელშიც არ უნდა გაიაროს მან, ხალხურ ზღაპარს ვერ შეცვლის. ის ბავში, რომელიც თვითონ არ ჰყვება ზღაპარს, არ გაპატიებთ, თქვენ რომ შეცვალოთ მისი ენა, მოტივი, სიუჟეტი, ან თუნდაც რომელიმე დეტალი, ერთხელ უკვე თუ აქვს ის მოსმენილი. ბავში არ გვანებებს ზღაპრის ხელყოფას და ჩვენც, თუ მართლაც ბავშვისთვის გვინდა ზღაპარი – სწორედ იმიტომ, რომ არ გავალიზიანოთ და არ ავადღელვოთ ის, უთუოდ უნდა შევუნარჩუნოთ პირვანდელი სახე. დიას, ერთხელ მოსმენილი ზღაპარი ბავშვმა მშვენიერად იცის, მაგრამ მაინც არ ბეზრდება, მუდამ მის მოყოლას გვთხოვს და არა ახალს იმიტომ, რომ ის დადებით ემოციებს და სიმშვიდეს გვრის მას. ისევე როგორც არ უკვირს ბავშვს ცხოველთა და ფრინველთა მეტყველება; ქვესკნელში არსებული სამეფო, გმირის ცაში ასვლა, მზეთუნახავ ქალად ქცეული ბაყაყი, ან რაშის ფრენა; გველეშაპის თუ დევის მრავალი თავი და ა.შ., ასევე სწორად ესმის ბავშვს

ყველა ის მოტივი, რომელშიც მავანნი საშინელებას ხედავენ. ამიტომ, ზოგიერთის დაეჭვების მიუხედავად, სრულიად მართებულია მისი მოყოლა ძილის წინ. ასე იყო მუდამ და ასეც უნდა დარჩეს. ბავშვისთვის ზღაპრის შერჩევასას სასურველია ასაკის გათვალისწინება, მაგალითად, ზღაპრები ცხოველთა შესახებ შეიძლება მივაწოდოთ სკოლამდებლებს და ისიც მხოლოდ ადრეულ ასაკში. სწორედ ამ ხნის ბავშვი არასდროს გაიკვირვებს, არ იუცხოვებს ცხოველთა მეტყველებას, მათი ცხოვრების წესს. ამ ასაკის ბავშვისთვის ცხოველთა შორის დამყარებულ ადამიანურ ურთიერთობებზე თვალის მიდევნება უფრო მიმზიდველია, ვიდრე თვით ადამიანთა ყოფა, მით უმეტეს, რომ ეს ზღაპრები არ არის მოკლებული იუმორის გრძნობას. აქ მხოლოდ მსუბუქ იუმორს არ ვხვდებით. აქ პერსონაჟები ერთმანეთს დასცინიან კიდევ. როგორც გრ. კიკნაძე იტყოდა: „ოპტიმიზმი ჩანს აბუჩად ამგდებ დამოკიდებულებაში. საკუთარი ძაგების რწმენა ხომ განუწყვეტლად მისდევს ხალხურ ნაწარმოებებს“. ბავშვს შევატყობთ თუ არა მის მიმართ კრიტიკულ დამოკიდებულებას, რასაკვირველია აღარ შევთავაზებთ. მახსოვს, როცა ბავშვს ცხოველთა შესახებ ზღაპარს ვუყვებოდი, პატარამ მითხრა: – „ვითომ, არა ვითომ?!“ და მივხვდი, რომ ამ ზღაპრის დროს ბავშვისთვის უკვე ჩაევილო. საერთოდ, რთულია ასაკის მიხედვით ზღაპრების დაჯგუფება, რადგან ბავშვის სულიერი განვითარება ინდივიდუალურია და ის თვითონ უკეთესად გრძნობს და ჩვენც იოლად გვაგრძნობინებს, როდის რა სიამოვნებს.

ქართული ხალხური ზღაპრების კრებულისთვის ამოსავალს მუდამ ჩანაწერი ტექსტი წარმოადგენდა, რადგანაც სწორედ ეს მასალაა იმ მუხტის მატარებელი, რომელიც ანდამატივით იზიდავს მკითხველს. აღნიაშვილის, თ. რაზიკაშვილის, მ. ჩიქოვანის და სხვათა გამოცემები ჩვენთვის სამაგალითო უნდა იყოს მომავალშიც ახალი კრებულების გამოქვეყნებისას.

Rusudan Choloqashvili

THE FAIRY-TALE AND THE CHILD

(summary)

The fairy-tale is one of the primordial literary genres, in which the archaic world-view is represented. To be sure, the myth is an older form, but it is a form of cognition rather than a creative product - the ancient beliefs concerning the universe presented in it were perceived as real. Compared to myth, the fairy-tale is an act of prevarication, since the mythic materials gathered into it have been reworked, and already appear as unreal to the teller of the tale.

This earliest world-view is more or less comparable to the cognitive perspective of the child, due to the similarity of fairy-tale logic to that of the child. For this reason, in our times fairy-tales are told primarily to children, since traditional stories aid children to achieve an understanding of the macro-cosmos. It helps us to teach children about the severe canons of the universe in a relatively painless fashion, so that children correctly comprehend the complexities of reality and become able to bear its stresses.

Here the hero's victory through cleverness or the might of god is of help, as it implants in the listeners confidence in their own capacities and hope for the future, helps them to overcome fear and feel peace.

All of these effects are enhanced by the particular rhythm of the fairy-tale. In addition, it aids in the development of the imagination, of artistic abilities and esthetic feeling. Like ancient humans, children sharpen these sensibilities through the imagining of themselves as the heroes of the fairy-tale. It is also worthy of notice that children perceive themselves as integral members of the family, as the people of the ancient times when fairy-tales were created, and therefore the reception of fairy-tales from sources other than family and friends - from television, video, film - is inappropriate. The negative impact of fairy-tales on children can be attributed to the medium of transmission, if the traditional character of the fairy-tale is not taken into consideration.